ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3452166

ნომერი: AR1506402

თარიღი : 06.06.2017

გაცემის თარიღი : 04.08.2017

გაცნობის თარიღი : 04.08.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიხეილ თამარაშვილის ქუჩა N136 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი კვერნაძე პ/ნ 01006006543
- თბილისი დიღმის მას. IV კვ. კორ. 12 ბ. 56

ორგანიზაცია:
- შპს დომუსი კოდი: 404908864

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს დომუსი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404908864
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ალექსანდრე კორძახია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01009004543

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 3077485
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 2.02.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 06 ივნისის AR1506402 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს LG კაპიტალი. დამკვეთად შპს დომუსი არის დაფიქსირებული. საჭიროა, განმარტოთ ვის აქვს სამუშაოების წარმოების ინტერესი. თუ სამუშაოების წარმოების ინტერესი აქვს შპს LG კაპიტალს, მაშინ დამკვეთად ორგანიზაციის ველში შპს LG კაპიტალი უნდა დაფიქსირდეს, ხოლო, დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარის ველში ალექსანდრე კვარაცხელია. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ალექსანდრე კვარაცხელია დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად, ხოლო, თუ სამუშაოების წარმოების ინტერესი აქვს შპს დომუსს მაშინ საჭიროა წარმოდგენილ იქნეს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ შპს დომუსს აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. კერძოდ, საპროექტო ობიექტთან მიმართებაში შპს დომუსის სარგებლობის (იჯარა, ქირავნობა, აღნაგობა და ა.შ) ან რაიმე სხვა უფლების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული) და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის შესაბამისი თანხმობა. ასეთ შემთხვევაში, დამკვეთის უფლებამოსილება დგინება, თუმცა არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან ალექსანდრე კორძახია დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

2. საჭიროა, შესრულებულ იქნეს არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ბრძანებაში მითითებული პუნქტი - "დაევალოს დამკვეთს: მოიპოვოს და მშენებლობის ნებართვის სტადიაზე წარმოადგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ნებართვა მწვანე ნარგავების ჭრის/გადარგვის შესახებ."

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.